ქართველი ქალები

(ისტორიული მიმოხილვა)

დიმიტრი ბაქრაძისა

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

თფილისი
ე. ხელაძის სტამბა
1891

ქართველი ქალები.

ისტორიული მიმოხილვა.

ამ წლის «ცისკრის» პირველს ნომერში დაბეჭდილია რედაკტორთან წარმოგზავნილი წიგნი, რომელსაც ეწოდება «გარკვევა» და რომელიც ეკუთვნის კნეინა ბარბარე ჯორჯაძისას. რასაკვირველია ჩვენმა საზოგადოებამ ამ წიგნს თავისს დროზედვე შესაფერი ყურადღება მიაქცია. ეს კიდევ არაფერი, რომ მთხზველი არის დედათ-სქესისა. ქართველი ქალები სხვანიც არიან «ცისკრის» თანამშრომელნი. ღირსება «გარკვევისა» სძევს თვით იმისს საგანში... «გარკვევა» არის დაწერილი სასიამოვნოს საუბრის ენით; აზრებია გამოხატული ცხადად და აღბეჭდილი ნამდვილის დედობრივის გრძნობით. ჰსჩანს, კნეინა ჟორჯაძისა ცნობის-მოყვარეა, კითხვაში და მსჯელობაში დახელოვნებული. სჩანს, სამამულო ენისა და სიტყვიერების წარმატება გულითა სურს. პატივის-საცემი ავტორი თავისს «გარკვევაში» არღვეგს უ. არდაზიანის კრიტიკას, რომლითაც

ვითამც ის აღკრძალავს ლექსების საჭიროებას. თავისის სიტ-
ყვის დასამტკიცებლად ბუნებითს წესს იხსენიებს, რომელსაც
ადამიანში სხვა-და-სხვა ნიჭი დაუნერგია. კნ. ჯორჯაძისა ჰში-
შობს, რომ ამ გვარმა უსაფუძვლო და ანქარებულმა კრიტიკამ
ახლად დაწესებული საქმე არ დაამციროს. ამას გარდა ისტო-
რიისაკენაც მიაქცევს ჩვენს ყურადღებასა და მოიხსენებს ძველ-
თგანს საქართველოს მეცადინეობას, სიბრძნეს და ხელოვნებასა

თუმცა ჩვენი მამული დიდს გაჭირვებაში და აღრეულებაში ყო-
ფილაო და, იმისს შვილებს არა ჰქონიათო არც ლიცეება, არც
უნივერსიტეტები და არც ენების ცოდნაო. «საქართვგელოს
ხალხნი არიან ზნეობით სრულნი და ვიცით მხოლოდ ერთი
ან-ბანი... ეს ან-ბანი არის საღმრთო წერილიო.» აქ ავტორი
გვირკვევს, რა სარგებლობა გამოგვაქვს საღმრთო წერილის
ცოდნითა. ეს სარგებლობა არის – მითვისება ჭეშმარიტებისა,
დაწესება სჯულისა, მნიშვნელობა ქრისტიანობისა, დამარხვა
მცნებისა, სიყვარული მოყვასისა და პატიოსნება. ამ ანბანის
ცოდნას უმეტესად ქალნი ეტანებოდნენო.

უკანასკნელის სიტყვების ჭეშმარიტებას ჩვენ სრულებით
აღვიარებთ. საღმრთო-წერილის ცოდნას გარდა, სხვა მრავა-
ლი ღირსებაც შეამკობდა საქართველოს ასულთა. იმათი თვი-
სება გარეგანი და ზნეობითი, იმათი მნიშვნელობა მოქალაქეო-
ბითი, იმათი განთქმულობა უცხოს ქვეყნებში – დიაღ შესანიშ-
ნავია ყოველიგე, თუმცა ჩვენ კი ჯერ კარგად არა გვაქვს და-
ფასებული. ამ საგანზედ ჩვენს დროში საკმაო ყურადღება ჯერ
არც ერთს მწერალს არ მიუქცევია, და ამიტომ საჭიროთ ვხა-
დით მოკლედ გამოვარკვიოთ. იმედი გვაქვს მკითხველნი კმაყო-
ფილნი დარჩნენ.

აზიასა და ევროპას მცხოვრებთაგან საქართველო ძველათ-
ვეა ცნობილი ქალთა და კაცთ შვენებით. რა არის ამის მიზე-
ზი? – ჰავა და გეოგრაფიული მდებიარება ადგილისა, რომელ-
ნიც ბევრით განასხვავებენ საქართველოს სხვა ქვეყნებისაგან,
და რომელნიც იმოქმედებენ ადამიანის აგებულებაზედ და ხა-
სიათზედ, ხალხის წესდებულებაზედ და თვით ისტორიულს
მოძრაობაზედაც? ეს აზრი ახლა საზოგადოდ არის მიღებული
და ჭეშმარიტია თუ არა, მაშ, ჩვენ ამაზედ ნურასღა ვიტყვით.
ცხადია მხოლოდ, რომ ქართველი ქალები ყოფილან შესანიშ-
ნავნი სიტურფით. ფრანცუზები არიან ბუნებით გარგად დამა-

ფასებელნი სილამაზისა და ერთი იმათგანი შარდენი, რომელ-

მაც საქართველო აღწერა მეჩვიდმეტე საუკუნეში, დიდის აღ-
ტაცებით მოიხსენებს ამ მხრით ჩვენს ქვეყანას. «საქართველოს
სისხლი არის უკათესი, ამბობს შარდენი – უკეთესი მთელს
აღმოსავლეთზედ და – შემიძლია ვსთქვა, უკეთესი მთელს ქვე-
ყანაზედაც. მე არ შემინიშნავს აქ უშვერი სახე არც ერთს
სქესში. აქაური სახეები აღბეჭდილია ანგელოზებრივის გამო-
ხატულებით. ბუნებას მოუფენია უმეტესს ნაწილს ქალებზედ ის
სიტურფე, რომელიც სხვაგან არსად იპოვება, რომ ჩემს
გულში სიყვარული არ აღგზნებულიყო. დახელოვნებული მხატ-
ვრობაც ვერ წარმოადგენს უუმშვენიერესს სახესა და მოყვანი-
ლობასა. ქართველნი ქალნი არიან ტანოვანნი, საკვირვლად
აგებულნი და წელში გასაცვიფრებელად წვლილნი; არიან მახვი-
ლის გონებისა, ზრდილნი და თავაზიანი, ამასთანავე ამაყნი
და ამპარტავანნი». ამ სიტევებით გამოგვიხატავს შარდენი სა-
ქართველო-იმერეთის ქალებსა. ეს სიტყვები მოგონილნი და
უსაფუძვლონი არ არიან, ჩვენ კიდეც ვახსენეთ, რომ უუძვე-
ლესის დროიდგან ქვეყანაზედ განვრცელებულიყო აზრი, რომ
ჩვენს მხარეში ბუნებას დაუმკვიდრებია უაღმატებულესი სიტურ-
ფე მამრობითის და მდედრობითის სქესისათვის და ამისთვის
დასტრფოდნენ აზიელნი და ევროპიელნი საქართველოს ვაჟ-
ქალთა. ამის დამტკიცებას ვპოულობთ ისტორიაში. რამდენი-
სამე ასის წლის წინეთ ქრისტეს-შობისა, ერთი ებრაელ მწე-
რალი მოგვითხრობს, – რომ ივერიაში ფინიკიელთ ვაჭრობა ამ
საგანზედ იყო დამყარებულიო. ვგონებთ, რომაელთა – აგრეთვე,
შემდეგ ქრისტიანობის მიღებისა საქართველოში და სამეფოს
მტგიცედ დაფუძნებისა, ვიზანტიის მფლობელნი და დიდებულ-
ნი ხშირად ცდილობდნენ შეუღლებასა ქართველს ქალებთან.
მოგიხსენებთ აქ რამდენსამე შემთხვევას: მეთერთმეტე საუკუნე-
ში კოსტანტინეპოლის იმპერატორი მიხეილ-დუკა იყო და-

ქორწინებული ბაგრატ მეოთხის ასულზედ, რომელსაც ერქვა
მართა, და მართას ბიძა-შვილი ირინე ჰყავდა იმპერატორის
ძმას, ისაკ-კომნენს; ბაგრატის დის წული ჰყავდა სელჯუკის
სულთანს ალფ-ასლანს. მეთორმეტე საუკუნეში დავით მეორეს
ჰყავდა ორი ქალი – კატა და თამარ. კატა იცოლა ალექსი კო-
მენმა, იმპერატორის ნიკიფორე ბარიანისა და განთქმულის მწე-
რალის ანნა კომნენის შვილმა, თამარი შეუღლდა შირვანის მთა-
ვართან, რომელსაც ერქვა ფადლონ და რომელიც თამარისაგან-
ვე იყო გაქრისტიანებული. მეთოთხმეტე საუკუნის ტრაპიზო-
ნის იმპერატორს ალექსი მეორეს ჰყავდა ცოლად ქალი მესხე-
თის ათაბეგის ბექასი. ისტორია ამასაც გვიამბობს, რომ
1450 წელს იმპერატორმა კოსტანტინე-დრაგო-ზემ წარმოგზავ-

ნაო საქართველოში ელჩი დიდის საჩუქრით გიორგი მერვის ქალის სათხოვნელათ, მაგრამ უჟამო კონსტანტინეს სიკუდილმა მოშალა ამ საქმის დაბოლოებაო. რუსეთის მხრით ვიცით ორი შემთხვევა: კიევის დიდმა კნიაზმა იზიასლავ მსტისლავიჩმა იქორწინა 1454 წელს ჩვენის მეფის ასულზედ, თუმცა არ ვიცით დამტკიცებით ან რომლის მეფის ქალი იყო და ან რა ერქვა. მეჩვიდმეტე საუკუნის ბორის გოდუნოვი თხოულობდა გიორგი მეცხრის ქალს ელენეს თავისს შვილისათვის. არაბეთის ხალიფთ მოადგილენი ანუ ემირნი და სპარსეთის მფლობელნი აგრეთვე ეტანებოდნენ ქართველ ქალებსა. ვისაც ჩვენი ისტორია ამოუკითხავს, ის მოიგონებს ჯალალ-ედინს, აზატხანს, ქაიხოსრო მეორეს და შაჰ-აბაზს, რომელნიც ქართველი ქალებისაგან იმათთან შეუღლებაზედ უარის თქმისათვის საქართველოზედ გალაშქრდებოდენ და ააოხრებდენ; ის მოიგონებს აგრეთვე ომარ ხანს, ავარიის მთავარს, რომელმაც სოლომან პირველის დროს ვახანის ციხე დაარღვია და რა დასტყუა ორი დები აბაშიძეთ გვარისა, ერთი შეირთო თვითან და მეორე მისცა თავის ბიძას იბრაჰიმს შუშის ხანს, ყურად-

ღებით უხდა მოვიხსენოთ რასაც ჩვენი და უცხო ტომის მწერლები გვიანბობენ მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე საუკუნესას. ამ დროებში სპარსნი და ოსმალნი დიდ-ძალს ვაჟ–ქალთ სტყუვებდნენ და გაიყვანდენ საქართველოდგან, ხარკათაც ედვათ ეს უბედურთ ჩვენ მთავრებს და მეფეებს. ეგვიპტე კოსტანტინეპოლი, ისპაჰანი და სხვა ადგილები ბაზრებათ იყვნენ გადაქცეულნი, სადაც ეს სიტყვიერი სავაჭრო ისყიდებოდა და დიაღ დიდი გასავალი ჰქონდა... ერთი ფრანციული მწერალი, ჭკვიანი და კარგად ნასწავლი, დიუბუა-დე-მონპერე, ისეთს რასმე გვიანბობს, რომ იქნება სხვა ქვეყნებისათვის სასარგებლო იყო, მაგრამ ქართველს კი სულს აღუშფოთებს· ზეციერმა განგებამ ამიტომ მიაყენაო საქართველოს ეს უბედურება, რომ აღმოსავლეთის ხალხთ სისხლი გაწმენდილიყოვო; მაგალითად ასახელებს სპარსთა. ძველნი სპარსნი იყვნენო უშვერნი, მაგრამ უკანასკნელს დროს მოშვენდენო, რადგანაც იშვიათად ჰნახავდით სპარსს, რომ იმისს სახლში არ ყოფილიყო საქართველოდამ წაყვანილი ანუ მოტაცებული ქალიო. ის შესცდება ვინც იფიქრებს: ვითომც მხლოდ გარეგანი თვისება იყო მიზეზი უცხო ტომთაგან ცდისა, – ქართველი ქალები ჰყოლიყოთ. არა, ჩვენ ეს აზრი გვაქვს და ჭეშმარიტადაც აღვიარებთ, რომ სადაც აღადგენს უმაღლესს ადამიანის თესლსა, ან როგორც ევროპიელნი იტყვიან – ტიპსა, იქ მარტო სახის სიმშვენეს არ აკმარებს. ამ ტიპს ბუნება განასვავებს თვით ზნეობითის ხასია-

თით, ესე იგი, შეამკობს მაღალის გონიერებით, ხასიათის სიმტკიცით და ძალით, ნამდვილის ზრდილობით და მიმზიდავის მიხვრა-მოხვრითა ან მანერებითა. ამ თვისებაებით მეტად თუ ნაკლებად განირჩევიან ის ტომნი, კავკასიის ძირიდგან რომ წარმოსდგნენ – სხვა დაბლა მდგომარე ხალხებში. საქართველოს ხალხი ამ ხასიათით მიაქცევდა თავისს-თავზედ საზოგადო ყურადღებას. საქართველოს ქალებისთვისაც ეს იყო მიზეზად

იმათის ბედკრულის ხვედრისა, ისტორია დაწვლილებით არ მოგვითხრობს იმათ მდგომარეობას სამშობლო ადგილებს გარეთ; მაგრამ ეჭვი არ არის, იმათ უნდა ჰქონიყოთ გავლენა სულთნებზედა და შახებზედ და ამ გავლენას სასარგებლოდ მოიხმარებდნენ თავისს სამშობლო ქვეყნისათვისაც. რამდენიმე მაგალითი ვიცით, რომ როდესაც საქართველო ყოფილა შიშს ქვეშ განრისხებულის მტრების მხრით, მაშინ ეს განსაცდელი ასცილებია დედაკაცების ცდითა და მოხერხებულის შუამდგომლობით.

ახლა უნდა დავხედოთ ჩგენის ქალების მდგომარეობას თვით საქართველოში. მართლა და რა ხასიათი ჰსძევს ამ მდგომარეობას, როგორ გამოგვირკვევენ ისტორიის მომთხრობნი – ჩვენნი და უცხო ტომთანი?

ეჭვი არ არის, რომ ქვეყნის გარემოებაზედ არის დამოკიდებული შინაური ანუ კერძოობითი მდგომარეობა. ეჭვი არ არის, რომ დამყუდროებულს ხალხში დაუბრკოლებლად აღყვავდებიან ადგილ-მამულის მართვა და ჰსწავლის წარმატება. სადაც გარემოება ლაშქრობის ზრუნვას მოითხოს, იქ ეს თვისება მიყრუებულია; სადაც ამ გვარი გარემოება სამუდამოა, კარგათ ვგრძნობთ ამას რა შეუდგება: იქ სიყრმითვე კაცი შიშშია და სწავლას ვერ დაუდებს თავსა. რასაკვირველია დედაკაცებს აქვსთ ამ გარემოებაში თავისი მონაწილეობა, ასეა ყოველგან; ასევეა ევროპასა თუ აზიის ქვეყნებში. საქართველოს ხვედრი თვითოეულმა იცის, ძველათვე იმისს შვილებს მტრები არ აძლევდენ მოსვენებას. დროს-განმავლთობას უფრო და უფრო დიდი განსაცდელი მოაქვნდა, ადგილ–მამულის პატრონობისათვის ვის ეცალა! დედაკაცები როგორ დაჰსდებდენ გულს თავიანთს შინაურს საქმეებზედ!.. მაგრამ სიცრუვე იქნება ჩვენის მხრით, თუ ვჰსთქვით ისინი სრულიად უმეცარნი იყვნენო. არა, ხელთსაქმობა თითქმის უმეტესს ნაწილს შეეძლო. ზოგ-

ნი იმათ შორის კარგს ნიჭიერებასაც გამოიჩენდნენ, ეს ცხადია.

მხოლოდ გულს-მოდგინებით განიხილეთ ის ნამუშაკობა, აქა-
მომდე ეკკლესიებში და მონასტრებში დაცული რომ არის, ჩვენ
თვითან გვინახავს ქარგაზედ ნაკერი და ქსოვილი საეკკლესიო
ნივთები, ამ ორასის წლის წინათ რუსეთში გადასულთ ქარ-
თველებს რომ შეუწირავთ სერგიის-ლავრასთვის, მოსკოვის გუ-
ბერნიაში იმათს ხელოვნებას ახლაც დიდს ყურადღებას მიაქცე-
ვენ პილიგრიმნი ანუ სალოცავათ მიმოსვლელნი... გონების გან-
მხსნელი სწავლაც არ იყო ჩვენის ქალებისაგან სრულებით და-
ტევებული. კითხვა-წერა მრავალთ იცოდნენ. ვისაც საკმაო დრო
ჰქონდა, უფრო უპირველესს სათავად-სააზნაურო წრეში, ისი-
ნი უმაღლესს შრომასაც მისდევდნენ: ისინი სტკბებოდენ ჩვენს
ენაზედ დაწერილის, ანუ სხვა ენით გადმოღებულის საერო
თხზულებაებით; კითხულობდნენ უფრო განთქმულს რუსთავე-
ლის «ვეფხის ტყაოსანს», რომელიცა უუმშვენიერებდა სიტ-
ყვიერებას და განუწმედდა აზრს და ზნეობითს გემოვნებას,
მრავალთ იცოდენ ზეპირათ; კითხულობდენ საბერძნეთის ფილო-
სოფოსთა მშობლიურს ენაზედ, მამათა-ცხოვრებასა და საღმ-
რთო-წერილებსა. უფრო ამ უკანასკნელს საგანზედ იყო დაარ-
სებული ქართველი ქალების განათლება. საღმრთო-წერილის
სწავლა აღბეჭდავდა სამარადისოდ იმათს საუბარს, იმათს მოქ-
მედებას და იმათს მოღვაწეობას ქრისტიანობრივის ხასიათით.
ვიცით, რომ რამდენიმე უწერიათ კიდეც და იმათ შრომას ჩვენს
დრომდინ მოუწევია. წმიდა-ნინოს მოსვლა საქართველოში და
მირიანის მოქცევა არის აღწერილი კახეთის დედოფლისაგან.
რანის მფლობელის მეუღლემ შუშანიკმა, რომელიც იყო ტო-
მით სომეხი, ქმრისაგან ეწვალა მეხუთე საუკ. და არის
დასაფლავებული მეტეხის ეკკლესიაში, დაუტოვა მისგან დაწე–
რილი სომხურს ენაზედ საღმრთო ლიტურგია. მეჩვიდმეტე
საუკუნეში თეიმურაზ პირველის დამ მაკრინემ შეადგინა ქარ-

თველთ წმიდათ საგალობლები, აქამომდე რომ იკითხებიან
ჩვენს ეკკლესიაში. იქნება იყო სხვაც რამ ქართველთ ქალებთა-
გან დაწერილი, რომელთაც ამ ჩვენს ცნობამდისინ არ მოუწე-
ვიათ, ანუ სამუდამოდ დაკარგულან ჟამთა განმავლობაში და
ქვეყნის აღრეულებაში.

ჩვენ ყოველთა ვიცით დედაკაცების მდგომარეობა თით-
ქმის მთელს აზიაში: ისინი არიან დახშულნი და ქმრებსა ჰყავთ
სასტიკს მონებას-ქვეშ. საქართველო აზიაში მდებარებს და
ამისთვის ევროპაში მრავალთა ჰქონდათ და კიდევაცა აქვთ
აზრი, ვითამც ქართველი ქალებიც ამ მდგომარეობაში ყოფი-
ლიყვნენ. ეს აზრი სრულიად უსაფუძვლთოა. თუმცა ჩვენი მხა-
რე აზიის ქვეყანა იყო, მაგრამ ამ საგანში არც ერთს აზიის

ხალხს არ ეთანასწორებოდა. აი ამის მიზეზები: ხალსის ხასიათი იქ განსხვავდებოდა სიცოცხლითა და მოძრაობით; აქ ევროპის სახელმწიფოთ – საბერძნეთს, რომს და ვიზანტიას ჰქონიათ ხანგრძლივი გავლენა; ისტორიული სვე საქართველოსი ყოფილა მტკიცედ დამყარებული ქრისტიანობრივს სწავლა-ზნეობაზედ. მაშასადამე ქართველთ ქალთ დახშული ცხოვრება და მონებას-ქვეშ ყოფნა უადგილოდ უნდა ყოფილიყო. ჯერ დიდს დროს არ გაუვლია, რაც ჩვენის ქალაქის სამოქალაქო მდგომარეობა შეიცვალა, და რასაკვირველია ზნეობითი წესი თითქმის ისევ ძველია; მაგრამ ვერც ქართლ-კახეთში და ვერც იმერეთის მხარეს ვერა ვპოვებთ ქალების დახშულობის კვალსა... ისევ ისტორიას მივმართოთ: ეს აზრი უფრო ცხადად გამოირკვევა რომელს ქვეყანაშიაც მდედრობითი სქესი მონებაშია, იქ დედაკაცი სრულიად არს სჩანს, ესე იგი ვერც ხასიათის სიმტკიცეს გამოიჩენს საჭიროების დროს და ვერც სამოქალაქო მართვაში მიიღებს მონაწილეობას. ჩვენ ქვეყანაში ეს არა ყოფილა.

მაშ რა თვისება სძევთ მართველთ ქალების მნიშვნელობა-

სა და იმათს მოქმედებას საერო საქმეებში? ჩვენს ისტორიასა სწამს, რომ ივერია წილათ-ხდომია ღვთის-მშობელს და იმისი მადლი მოჰფენია ქართველს ტომს და უნამეტნავესად ქართველ ქალებს. შეიძლება მრავალთ საეჭვოდ მიიღონ ეს აზრი, მაგრამ აი რა არის შესანიშნავი და ჩასაფიქრებელი. ჭეშმარიტის სარწმუნოების დამყარებამდინ საქართველოში, დედაკაცებს ვერა ვხედავთ. შემდეგ ამისა კი ცხადად აღმოჩნდებიან. ანდრია მოციქული რომ აფხაზეთს და მესხეთის მხარეს მოვიდა, დედაკაცისაგან იყო მიღებული; დედაკაცმავე მიიღო. პირველად ქრისტიანობა და იმისი მეცადინეობითვე სარწმუნოების საფუძველი დაიდვა აქა. მერე მოვიდა ნინო და ვიცით ვისის შემწეობითაც განავრცელა ქრისტეს სჯული. ეს შემწენი იყვნენ დედანი – ურიის ქალი სიდონია, მირიანის მეუღლე ნანა და უჯარმის დედოფალი სალომე; თითქმის უკანასკნელისაგან არის მოსჯულებული კახეთის მხარე. მეცხრე საუკუნემდინ ერთი კახეთის ნაწილი, სახელდობრ ჰერეთი, ხალკიდონის კრების შემდეგ, მწვალებელის სარწმუნოებას აღვიარებდა; აქ მართლ-მადიდებლობის შემოტანას ისტორია მიაწერს კახეთის დედოფალს დინარას, წმიდათა-შორის შერიცხულს ვგონებთ ამ მოღვაწეობისათვის. ზემოთ ვახსენეთ შირვანის მთავრის მოქცევა იმისს მეუღლისაგან, რომელსაც ეწოდებოდა თამარ და იყო დავით მეორის ასული. სხვა რა უნდა ვსთქვათ საქებრათ ჩვენ წინაპართ დედათა? ისინი სარწმუნოებაზედ ასე მტკიცედ იყვნენ, რომ დაუ-

ჯერებელს და შესაძრწუნებელს ტანჯვას ითმენდენ ურწმუნოთა-
გან, და ამ გვარის განწირულებით დიაღ დიდს მაგალითს
უჩვენებდენ კაცთა; ისინი გულს-მოდგინეობდენ ტაძრებისა და
მონასტრების აღშენებაზედ, მოგზაურობდენ აღმოსავლეთის
წმინდა ადგილებში, უძღვნიდენ უხვს შემწეობას საბერძნეთის
დავრდომილს ქრისტიანებსა და ეკკლესიათა. არა სჩანს, რომ
როგორათაც შინ, აგრეთვე გარეთ ჩვენს ქალებს დიდი პატი-

ვისცემა უნდა ჰქონიყოთ? სხვა არა იყოს რა, მარტო მეფობა
დიდისა თამარისა, იმისი სამაგალითო საქმეები საქართველო-
ში და უცხო ქვეყანაში, იმისი მეცადინეობა სწავლისა და კე-
თილზნეობითს გაგრცელებაზედ თავისს ხალხში, იმისი შემძლებ-
ლობა, რომელიც აღმოიჩინა კავკასიელთ მოქცევით და ტრაპი-
ზონის იმპერიის დაფუძნებით თავისის ნათესავის დაგით-კომ-
ნენისათვის, იმისი დაკრძალვა, კერძოობითი ცხოვრება და
უმანკოება სულისა, – სხვა არა იყოსრა, მარტო ეს შემთხვევა
ჩვენს ისტორიაში მოიზიდავს საქვეყნო ყურადღებას არა თუ
მხოლოდ იმისს სახელზედ, მთელს საქართველოს დედათა
სქესზედაც.

ამ მოქმედებაების შემდეგ, არც მამაცური მხნეობა უნდა
გვიკვირდეს ქართველ ქალებში. მართლა და ისინი ამ გვარად
იყვნენ ცნობილნი ევროპელთაგან. ზემოხსენებული ფრანცუზი
შარდენ გაკვირვებით აღწერს იმათს ახოვნებას. უეჭველია ყვე-
ლას წაუკითხავს პუშკინის პოემა – ბახჩი-სარაის ფონტანი:
აქ არის ერთი საქართველოთგან მოტაცებული მშვენიერი ქალი,
რომელიც იმისს პატრონის გულის-წამრთმევს პოლიაჩკას ხან-
ჯლით აშინებს და ეტყვის – მერიდე, თორემ კავკასიის ახლო
ვარო შობილი და ხანჯლის ხმარება ვიციო... ჩვენ ვიცით
მრავალი შემთხვევა, რომელშიაც ქართველ ქალებს გასაოცარი
გულადობა და ახოვნება გამოუჩენიათ; ვიცით მაგალითად, რომ
როდესაც თურქთ, სელუკიდთ ეპყრათ იერუსალიმი, უცხო
თესლნი ხშირად ჰხედავდენ ჩვენ დედაკაცთ აღჭურვილთ და ასე
მიმომსვლელთ სალოცავად. ამ გვარადვე იყვნენ ჩვენი ქალები
გამოჩენილნი საქართველოს შეჭირვების დროს სპარსთაგან...
აქ ერთი შემთხვევა უნდა შემოვიტანოთ. პოლშური მწერალი
კრუზინსკი, რომელიც დიდხანს იმყოფებოდა სპარსეთში მეთ-
ვრამეტე საუკუნეში და ამ დროს ქართველთ ლაშქრობის აღწე–
რა დაგვიტევა, აი რას გვიანბობს ერთს ქართველს დედაკაც-

ზედ. 1725 წელს, ერთი დედაკაცი, რომლის ქმარი მოეკ-

ლათ გულნაბადის თმში, მთო-იტრაო. საქართველო.დგან ისვაჭანს მურის საძიებლათ, ავგანთ მოიჭრაო საქართველოთგან ისპაჰანს შურის საძიებლათ. ავგანთ ძვირათ დაუჯდათო იმისი ქმრის სიკვდილი; იმან მოკლაო სხვა და სხვა ჩხუბებში ოთხმოც და ათი კაცი, და მაშინ იცნესო, რომ დედაკაცთაგანი იყო, რო-დესაც დაატყვევესთო; მაგრამ პატივი თურმე სცეს იმისს გმი-რულს განწირულებას და გაანთავისუფლეს. რამდენჯერ მომ-ხდარა, რომ ქართველ დედაკაცებს უმხნევებიათ კაცები გაცეც-ხლებულს ომებში. ხმალი ლეჩაქში გახვეული, – აი რა ღონის-ძიებას თურმე ხმარობდენ ქმრების გასამხნევებელად ანუ სირ-ცხვილის მისაყენებლად, რამდენჯერ მომხდარა, რომ თვით ქა-ლებსაც უწინამძღვრიათ ჯარებისათვის და გაუმარჯვნიათ.

ასრეთნი იყვნენ ძველათ საქართველოს ქალები. ჩვენ ვსცდილობდით კარგათ გამოგვერკვია იმათი თვისება და იმათი მოქმედება. შეიძლება ბევრმა იფიქრონ, რომ ქებაში საზღვარს გარეთ გაგდივართ, არა გვგონია. ჩვენ წარმოვადგინეთ ფაკტე-ბი, რომელნიც თავისს თავადვე მეტყველებენ, ჩვენ ფაკტებიც მოკლედ მოვიხსენეთ, ამისთვის რომ ვშიშობდით სიტყვა არ გაგვევრცელებინა. დაწვლილებით რომ შაიკრიფოს, მთელი წიგნი დაიწერება. მართალია, ნაკლულევანება არ გვიჩვენებია; მართალია, ისტორიაში შენახულია მაგალითები ისეთი მანკიე-რებისა, რომელიც შეჰზარავს ზნეობაში აღზდილს ადამიანსა, როგორათაც რუსუდან, უღირსი და ბიწიერებით აღსავსე შვი-ლი დიდისა და ყოვლით შემკულის თამარისა, ანუ როგორა-თაც ნესტან-დარეჯან, რომელმაც მეჩვიდმეტე საუკუნეში შესძრა მთელი იმერეთი საზიზღარის ყოფა-ქცევითა, და სხ. მაგრამ რა ვჰქნათ. მთელი ქვეყანა ასეა დაწესებული, რომ სისრულე არაფერშია. სჩანს ეს აუცილებელია. უუმშვენიერესს ადგილებ-შია, ჰავით რომ შემკულნი არიან ხან და ხან – ასე გვგიანბო-ბენ სასტიკი გრიგალი საჭირო არისო, რომელიც თუმცა დას-

ცემს და ააოხრებს რასაც კი შეეხება, მაგრამ თურმე სწმენდს ჰაერსა და ვინც უვნებლობას ეძებს იმას აფთხილებს. ასეა ცხო-ველს ბუნებაშიაც. ბიწიერება ზნეობისათვის გრიგალია, რო-მელიც ორს-სამს იმსხვერპლებს, და ორასს სამასკი გააფრთხი-ლებს, ისტორიაც იმ აზრით იწერება, რომ მაგალითებით უჩვე-ნოს რა არის მანკიერება, რა შეუდგება და ან რა თავის დაც-ვა გვმართებს. ისტორია გვამცნევს, რომ სადაც ზნეობა, უმე-ტესად ქალის ზნეობა – მაგალითებზედ დაიხშავს თვალსა, იქ ბიწიერება მრავლდება და ვრცელდება, სამოქალაქო წესი ირღვე-ვა და იშლება; იქ გონების ძალი და ხასიათის სიმტკიცე ჰსუსტდება, ღვთის და მამულის სიყვარული აღმოიფხვრება.

სხვა მიზეზი არა ჰქონია რა ძველათ აღყვავებულთ სახელმწიფოების აღმოხოცვასა; სხვა მიზეზი არა აქვსრა ახალს დროში ზოგი ერთის დაუღონოებასა და მოუძლურებასა.

ახლანდელი დრო მჭიდროდ არის შეკავშირებული წარსულ დროსთან. როგორათაც კაცი, ისე ქალი თითქმის ისეთნივე არიან საქართველოში, როგორც უწინ ყოფილან. ისევ ის სისხლი მომდინარეობს ქართველს დედათ-სქესის ძარღვებში და ისევ ის თვისებაები შეადგენენ იმისს ხასიათს, – თვისებაები, რომლებითაც მიიქცევენ თვით ევროპიულთ საზოგადო ყურადღებას, ესე იგი – სიტურფე, სასიამოვნო საუბარი და მიმზიდავი მანერები საზოგადოებაში და გონების ნიჭიერებანი, კითხვისა და წერის სურვილი, რომელსაც აღმოაჩენენ კნ. ჯორჯაძისა და სხვანი, დიაღ საქებარი არის. სასურველია, რომ ჩვენი ქალები უფრო და უფრო შეეჩვივნენ კითხვასა და წერასა. კითხვა-წერა ადამიანს გონებას გაუხსნის და გონების გახსნა დაგვაყენებს ჭეშმარიტს გზაზედა. სასურველია, რომ საღმრთოწერილის სწავლაში თავისს წინაპართ ჰბაძვიდნენ: ესე სწავლა საფუძვლად არის მიღებული დაწინავებულთ ევროპიის ქვეყნებში, რადგანაც უჩვენებს ნამდვილს ქრისტიანორივს და კაცობ-

რიობითს განათლებას და გულში განაღვიძებს მაღალ გრძნობათა – ჭეშმარიტს სიყვარულს ზნეობასა და მოყვასისადმი, რომელზედაც არის დამყარებული ყოველივე კანონი და წესი, როგორათაც მაცხოვარი გვიბრძანებს. სასურველია, რთმ ქართველნი დედანი ამ საგანზედ სდებდენ შვილების სწავლის საფუძველს, რადგანაც ნამდვილი განათლება უამისოთ შეუძლებელია და ყოველივე პირველი დაწყება აღბეჭდავს მთელს ადამიანის სიცოცხლეს სიკვდილამდინ...

1860 წ.